



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N81

2015 წლის 8 სექტემბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლასქედის საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ დოლასქედის საცალფეხო ხიდი საჭიროებს გადაუდებელ რეაბილიტაციას, რომლის დროული გადაწყვეტაც აუცილებელია მოსახლეობისთვის. დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერი (SPA 150022060) არ შედგა.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებულ ობიექტზე შექმნილია მძიმე ვითარება, რომლის დროული გადაწყვეტაც აუცილებელია მოსახლეობისთვის, ახალი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება კი საჭიროებს სატენდერო პროცედურების დაცვას რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული, ხოლო ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით კლიმატური პირობების გაუარესების გამო შეუძლებელი იქნება საცალფეხო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, შექმნილ ვითარებას გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილობლობას და ითხოვს თანხმობას რათა სოფელ დოლასქედის საცალფეხო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, სახელწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს სოფელ დოლასქედის საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 13 769 (ცამეტი ათას შვიდას სამოცდაცხრა) ლარზე.

2. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.